პროლეტარეტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი | № 98 (10795) | ოთხშაბათი, 24 აპრილი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის საპირველმაისო მოწოდებებიდან).

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

დიდი გულთბილობითა და გულითადობით აღნიშნეს გუშინ საბჭოთა ადამიანებმა, ყველა სოციალისტური ქვეყნის მშრომელებმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 87-ე წლისთავი. ლენინის სახელი ძვირფასი და მახლობელია ასეულ მილიონობით ადამიანისათვის დედამიწის ყველა კუთხეში.

ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავის გამო მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ გაიმართა მშრომელთა ხალხიმო კრებები. ყველგან მოეწყო საუბრები, მოგონებათა საღამოები, გაიხსნა გამოფენები, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძისადმი. გუშინ მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში, გაიმართა დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო ხხდომა. მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ა. ფურცევამ.

ამ ღირსშესანიშნავი თარიღის წინადღით მთელ ჩვენს ქვეყანაში გაისმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი 1957 წლის 1 მაისისათვის. ამ მოწოდებებში სხარტად და მკაფიოდ ჩამოყალიბებულია საბჭოთა ხალხის მთავარი, გადამწყვეტი ამოცანები კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე, გამოხატულია ყველა საბჭოთა ადამიანის დამოკიდებულება და გრძნობები საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და ამბებისადმი. პარტიის მოწოდებათა ყოველი სიტყვა გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის ლენინური იდეებით, ასახავს ლენინურ გენერალურ ხაზს კომუნიზმის მშენებლობაში, გამსჭვალულია ლენინური ზრუნვით საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების გამტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი აცხადებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების ურღვევ იდეურ ერთიანობასა და ძმურ სოლიდარობას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების საფუძველზე, ხაზგასმით აღნიშნავენ მსოფლიო სოციალისტური ბანაკის გადამწყვეტ მნიშვნელობას კაცობრიობის ბრძოლაში მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

გაუმარჯოს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა დიდ თანამეგობრობას!

სოციალისტური ქვეყნების ხალხებო! ძმურ მეგობრობასა და ურთიერთდახმარებაშია ჩვენი ძალა!

გამოხატავენ რა ყველა საბჭოთა ადამიანის გრძნობებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი ძმურად მიესალმებიან დიდ ჩინელ ხალხს, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის მშრომელებს, ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს, რომლებთანაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს სურთ იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრობით, განვითარონ და განამტკიცონ ურთიერთ ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი მკაფიოდ განსაზღვრავენ მთელი საბჭოთა ხალხის ამოცანებს, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების, კულტურული ფრონტის მუშაკთა ამოცანებს. პარტია მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას დარაზმონ მთელი თავიანთი ძალები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის, უფრო ფართოდ გააჩაღონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად, 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის და მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი სოციალისტური ინდუსტრიის მუშაკებს უჩვენებენ სამრეწველო წარმოების ახალი მძლავრი აღმავლობის, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების კონკრეტულ გზებს.

სოციალისტური მრეწველობის მუშაკებო! დანერგეთ წარმოებაში მოწინავე გამოცდილება, იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის!

მუშებო, ინჟინერებო, ტექნიკოსებო და ოსტატებო! აუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია, განამტკიცეთ შრომის სოციალისტური დისციპლინა, უზრუნველყავით საწარმოთა რიტმული მუშაობა!

საბჭოთა ინდუსტრიის მშრომელებო! იბრძოლეთ ეკონომიის რეჟიმისათვის, აამაღლეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

პირველი მაისის დღესასწაულისათვის მზადება მომდინარეობს ვითარებაში, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში განიხილავენ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. მუშებისა და მოსამახურეების კრებებზე, პრესის ფურცლებზე ამ დღეებში გამოთქმულია ათასობით წინადადება, ხალხის კოლექტიური გონება და კოლექტიური გამოცდილება პარტიასა და მთავრობას ეხმარება უკეთ, უფრო სრულად გამოიყენონ სოციალისტური წყობილების უდიდესი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ უფრო სწრაფად წაწიონ წინ სახალხო მეურნეობის განვითარება, გააუმჯობესონ მშრომელთა კეთილდღეობა.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! — ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის საპირველმაისო მოწოდებებში — მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფა შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. მუშებისა და მოსამახურეების კრებებზე, პრესის ფურცლებზე ამ დღეებში გამოთქმულია ათასობით წინადადება, ხალხის კოლექტიური გონება და კოლექტიური გამოცდილება პარტიასა და მთავრობას ეხმარება უკეთ, უფრო სრულად გამოიყენონ სოციალისტური წყობილების უდიდესი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ უფრო სწრაფად წაწიონ წინ სახალხო მეურნეობის განვითარება, გააუმჯობესონ მშრომელთა კეთილდღეობა.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! — ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის საპირველმაისო მოწოდებებში — მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფა სოციალისტური ეკონომიკის ახალი მძლავრი აღმავლობის საწინდარია!

გარდაქმნის რა ახალი პირობების შესაბამისად მრეწველობისა და მშენებლობის მართვას, პარტია კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის განვითარებას. ასე გვიანდერძა დიდმა ლენინმა, და ლენინური პარტია მუდამ მტკიცედ და თანმიმდევრულად განახორციელებს თავისი უკვდავი მასწავლებლის ანდერძს.

მეტალურგებისადმი, მექვანახშირეებისადმი, მენავთობეებისადმი, ენერგეტიკოსებისადმი, ქიმიკოსებისადმი, მანქანათმშენებლებისადმი, მძიმე მრეწველობის სხვა წამყვანი დარგების მუშაკებისადმი მიმართვასთან ერთად პარტიის ცენტრალური კომიტეტი პირველი მაისის დღესასწაულის წინ კონკრეტულ ამოცანებს უსახავს სახალხო მეურნეობის იმ დარგების მუშაკებსაც, რომლებიც მოწოდებული არიან უშუალოდ დაკმაყოფილონ მშრომელთა მზარდი მატერიალური მოთხოვნილებანი. მეტი კარგი დალამაზი ქსოვილები, კარგი ტანსაცმელი, გამძლე, ლამაზი ფეხსაცმელი, კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტები მოსახლეობისათვის! გავალეთიერთ ბინების, საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობის ტემპები და გავაუმჯობესოთ ხარისხი!

მთელი ჩვენი ქვეყანა მიესალმა კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებმაც ხასახელოდ იშრომეს გასულ წელს. ამასთან ერთად პარტიამ მიმართა მათ მოწოდებით მტკიცედ იბრძოლონ მარცვლეული მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ყოველი ღონისძიებით განვითარონ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, აამაღლონ პირუტყვის პროდუქტიულობა. ამისათვის საჭირო პირველ რიგში წარმატებით დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა და ყველგან მოიყვანონ უხვი მოსავალი, განამტკიცონ ყამირის ათვისებაში მოპოვებული წარმატებანი, უკეთ გამოიყენონ მინდვრებში მომუშავე მოწინავე ტექნიკა.

კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, ბამბა, მატყლი, სელი, კარტოფილი, ბოსტნეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში გამოთქმულია პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და ჩვენი ქვეყნის სულიერი ხიმდიდრის გამრავლებისათვის, საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებებისადმი ყურადღებით და გულისხმიერად მოპყრობისათვის საბჭოთა ადამიანის ყველა რგოლში.

პირველი მაისის დღესასწაულის წინ საბჭოთა ადამიანების ფიქრები მიპყრობილია კომუნიზმის მშენებლობაში ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — ჩვენი სახელოვანი ლენინური კომუნისტური პარტიისადმი. პარტიის ხელმძღვანელობით მოხდა დიდი ოქტომბრის რევოლუცია, აშენდა სოციალისტური საზოგადოება. პარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა და განმტკიცდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა. პარტიის ხელმძღვანელობით გახდა მძლავრი ძალა დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრე. მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურღვევი ბურჯი. ერთადერთი სწორი, ლენინური გზით მიჰყავს მტკიცედ პარტია ჩვენი ქვეყანა მთელი მოწინავე კაცობრიობის ხანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმის იდეების გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

„პრავდის“ 23-IV მოწინავე.

უკრაინის სსრ 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა

მეცხოველეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა უკრაინის სსრ დაამტკიცა 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ.

(საკდესი).

ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი შენიანში

შენიანი, 21 აპრილი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები განაგრძობდნენ შენიანის გაცნობას.

საბჭოთა სტუმრები იყვნენ ძმათა საფლავზე საბჭოთა მეომრებისა, რომელნიც დაიღუპნენ იაპონელი მილიტარისტებისაგან შენიანის განთავისუფლების დროს 1945 წელს. სტუმრებმა მიიტანეს გვირგვინი შემდეგი წარწერით: „სამარადისო ხსოვნა მამაც საბჭოთა მეომრებს — კ. ე. ვოროშილოვის, შ. რ. რაშიდოვის, ვ. პ. ელიუტინის, ნ. ტ. ფედორენკოს, პ. თ. იუდინისაგან“.

საბჭოთა მეომრების საფლავი გვირგვინით შეამკო აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილემ ჯუ დემ.

კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები იყვნენ „ბეიჯინის“ პარკში, დაათვალიერეს შენიანის ახალი სამრეწველო და საცხოვრებელი რაიონები.

დღისით შენიანის სტადიონზე გაიმართა ორმოცათასიანი მიტინგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად.

მიტინგი გახსნა შენიანის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ლიუ ბაო-ტიანმა, რომელიც ქალაქის მცხოვრებთა სახელით მხურვალედ მიესალმა ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვსა და მის თანამგზავრებს. ლიუ ბაო-ტიანმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს ჩინელი ხალხისადმი უდიდესი დახმარებისათვის მის რევოლუციურ ბრძოლასა და სოციალისტურ მშენებლობაში.

კ. ე. ვოროშილოვმა საპასუხო სიტყვაში თქვა, რომ შენიანში ყოფნის შემდეგ მან და მისმა თანამგზავრებმა კიდევ უფრო ძლიერ და უფრო ღრმად იგრძნეს, რომ საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის მეგობრობა ნამდვილად ურღვევი, ნამდვილად ძმურია. იგი საბჭოთა ხალხსა და ჩინელ ხალხს შთაგონებს განახორციელონ დიადი საგმირო საქმეები ორივე ქვეყნის ხალხთა ბედნიერებისა და კეთილდღეობის ნათელი მომავლისათვის.

მთელი თქვენი წარმატებებით, თქვა კ. ე. ვოროშილოვმა, მიმართა რა შეკრებილთ, კიდევ და კიდევ ცხადყოფთ, თუ რა დაუშრეტელ შემოქმედებითს ძალებს იჩენს ხალხი, როცა იგი დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას, რომელსაც შეუძლია ნამდვილად გააბედნიეროს დიდი ჩინეთის ყველა მშრომელი.

მუშების ხელით ბევრი რამ გაკეთებულა შენიანში სახალხო ხელისუფლების დროს. იქ, სადაც იყო გომინდანელთაგან მემკვიდრეობად მიღებული ნანგრევები ან ნახევრადშინამრეწველური სახელოსნოები, გაჩნდა უდიდესი თანამედროვე ქარხნები, რომელთა პროდუქცია უკვე ცნობილია ჩინეთის ფარგლებს გარეთ. მაგრამ ამ საწარმოთა ყველაზე საუკეთესო მშვენება არის ჩინებული, ორგანიზებული კადრები, რომლებიც არიან არა მარტო კარგი სპეციალისტები, არამედ ჩინელი ხალხის კუთვნილ ამ გიგანტურ საწარმოთა ნამდვილი პატრონებიც.

წლითიწლობით, თქვა შემდეგ კ. ე. ვოროშილოვმა, სულ უფრო მტკიცდება ყოველმხრივი მეგობრული კავშირი საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს, საბჭოთა ხალხსა და ჩინელ ხალხს შორის. ჩვენი მეგობრობა ყოველდღიურად ისხამს ხორცს ათასობით დიდი და მცირე საქმით, რომლებიც სრულდება საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის საკეთილდღეოდ.

მეგობრული ურთიერთობა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, დიდად სასარგებლოა ჩვენი ხალხებისათვის. მუდმივი გაცვლა ყოველივე იმისა, რაც საუკეთესო მოეპოვება თვითეულ ჩვენს ხალხს, ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ძმურ თანამეგობრობას, გამოხატავს სოციალისტური ქვეყნების საერთო მისწრაფებას გაიზიარონ ერთმანეთის ძვირფასი გამოცდილება, რათა ყველა უფრო სწრაფად წავიდეს წინ.

დასასრულ ამხ. ვოროშილოვმა აბალი წარმატებები უსურვა შენიანელებს შშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაში და გამარჯვება უსურვა დიდ ჩინელ ხალხს, ჩინეთის მუშათა კლასს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მარადიულ და ურღვევ მეგობრობას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს თავმჯდომარე მაო ძე-დუნის მეთაურობით.

კლიმენტ ეფრემის-ძის საბოლოო სიტყვების შემდეგ გაისმა მქუხარე ტაში და შეძახილები „ვანსუი“ — „ვაშა“, რაც რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილემ ჯუ დემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინელი ხალხი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს საბჭოთა ხალხთან ერთიანობის განსამტკიცებლად.

მიტინგის დასასრულს შენიანის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ლიუ ბაო-ტიანმა შენიანის 2.300 ათასი მცხოვრების სახელით წითელი დროშა და სხვა საჩუქრები მიართვა კ. ე. ვოროშილოვს.

გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი

22 აპრილს სოღანლუღში გაიხსნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი. აქ გაიმართა ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი.

დიდ ქანდაკებას ჩამოაცალეს თეთრი საბურავი და დამსწრეთ თვალწინ წარმოუდგათ ვ. ი. ლენინის ბრინჯაოს ფიგურა, რომლის ავტორია მოქანდაკე ვ. ჩხეიძე. მთელი ძეგლის სიმაღლეა 6 მეტრი და 55 სანტიმეტრი. ქანდაკება დადგმულია ბაზალტის ქვის კვარცხლბეკზე.

მიტინგზე გამოვიდნენ ხისდამუშავებელი საამქროს გამგე ვ. გრიშაშვილი, ჯავრიხის საწარმოს დირექტორი ხ. შანიძე, მუშა პ. სტებლიგინი, რომლებმაც ილაპარაკეს საბჭოთა ადამიანების ერთგულებაზე კომუნისტური პარტიისადმი, მათს მზადყოფნაზე თავდადებული შრომით განამტკიცონ საყვარელი სამშობლოს ძლიერება. აბალგაზრდა პოეტმა ვ. ძნელაძემ და მე-7 კლასის მოსწავლემ ნ. ბერიაშვილმა წაიკითხეს დიდი ლენინისადმი მიძღვნილი ლექსები. (საქდესი).

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სიახლენი მარმარილოს დამუშავებაში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად თბილისის მარმარილოს დამმუშავებელ ქარხანაში, რომელიც ამას წინათ ქვის დამმუშავებელ კომბინატად გარდაიქმნა, მთელი რიგი ტექნიკური სიახლეები დანერგეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლეა სპეციალური წებოთი მარმარილოს ნატეხების შეწებების ტექნოლოგიის დადგენა. ამ ტექნოლოგიით მარმარილოს ნატეხების საცდელმა შეწებებამ კარგი შედეგი გამოიღო. ეს უადვილებს ქარხნის კოლექტივს ადგილობრივი ნარჩენების გამოყენებას, ფართო მოხმარების მარმარილოს ნაკეთობათა (სამელნეები, საშროები, პირსაბანის ფილები, დაფები და ა. შ.) გამოშვების გადიდებას.

ახლახან კომბინატში მეორე სიახლეც განახორციელეს: შექმნეს მარმარილოს მრგვალი დაფის (რასაც ჩვეულებრივად მაგიდისათვის იყენებენ) გასაკრიალებელი ჩარხი, რომლის ავტორი და კონსტრუქტორი ადგილობრივ მომუშავე თვითნასწავლი ოსტატი გ. შათიაშვილია. ამ ჩარხის საშუალებით ცვლაში შეიძლება მარმარილოს დაფის გაკრიალება ისეთ ფართობზე, რომელსაც იქამდე ოსტატს შერომა სჭირდებოდა. ჩარხი უკვე ამუშავებულია და მისმა გამოყენებამ გამკრიალებლებს საშუალება მისცა დიდი გადაჭარბებით შეესრულებინათ აპრილის ორი დეკადის დავალება.

ამ სიახლეთა დანერგვის შედეგად გამკრიალებელთა შრომის ნაყოფიერება უკანასკნელ დეკადაში 6-ჯერ გაიზარდა.

ლენინური პრემიის ლაურეატები

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლენინური პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებით ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ გიორგი ალექსანდრეს-ძე მელიქიშვილს ნაშრომისათვის „ამერკავკასიის ხალხთა ისტორიის ძველადმოსავლური მასალები“ მიენიჭა ლენინური პრემია. ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის ეს დიდი მიღწევა ქართული ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერების წარმატებათა შედეგია.

ქართველი ხალხის ისტორიას შორეულ წარსულში აქვს ფესვები. მისი მაღალგანვითარებული კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველი აღმოსავლეთის დიდ ცივილიზაციებთან. უწინარეს ყოვლისა ამან განაპირობა ქართველ მეცნიერთა ინტერესი ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიისადმი. ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობას, მართალია, ხანგრძლივი ისტორია არა აქვს — იგი ფაქტიურად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა, — მაგრამ ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, გიორგი წერეთლის და მათ მოწაფეთა მიერ უკვე შექმნილია მძლავრი სკოლა, რომელიც დღეს საბჭოთა ორიენტალისტიკის მნიშვნელოვან ცენტრად არის აღიარებული. პროფ. გიორგი მელიქიშვილი ამ სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია.

გიორგი ალექსანდრეს-ძე მელიქიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურა დაამთავრა. ასპირანტურაში იგი მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიასთან (საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში) და აკად. გ. წერეთელთან (აღმოსავლურ ენებში).

1944 წელს გ. მელიქიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ურარტუს სახელმწიფოს წარმოშობა“ და აქედან მოყოლებული იგი ეწევა დამოუკიდებელ და ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მის კალამს ეკუთვნის 30-ზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევა, რომლებიც დაბეჭდილია როგორც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, ისე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპეციალურ ორგანოებში. ყველა მისმა ნაშრომმა საბჭოთა სამეცნიერო საზოგადოებაში თავდადგა მაღალი შეფასება დაიმსახურა. გ. მელიქიშვილის ეს ნაშრომები საყოველთაოდ აღიარებულია როგორც თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობის მნიშვნელოვანი და ძვირფასი შენაძენი.

სამეცნიერო გამოკვლევებთან ერთად გიორგი მელიქიშვილი წლების მანძილზე აქვეყნებდა ურარტულ წარწერებს, რომლებსაც მან კაპიტალური გამოკვლევა მიუძღვნა. ნაშრომი „ამერკავკასიის ხალხთა ისტორიის ძველადმოსავლური მასალები“ მან 1954 წელს ლენინგრადში წარმატებით დაიცვა, რის შედეგად მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამ ნაშრომმა ავტორს ლენინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება მოუპოვა.

ზემოთ დასახელებული ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: 1. „ნაირი-ურარტუ“, თბილისი, 1954 წელი და 2. „ურარტული ლურსმული წარწერები“, მოსკოვი, 1953-54 წწ.

გამოკვლევაში გაშუქებულია ისეთი მნიშვნელოვანი და დღემდე ნაკლებად შესწავლილი საკითხები ძველი აღმოსავლეთის და ამერკავკასიის ხალხთა ისტორიისა, როგორიც არის ურარტული წარწერებში მოხსენებული ქვეყნებისა და ცალკე პუჭტების ლოკალიზაცია, ნაირი-ურარტუს და მისი მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ურარტუს პოლიტიკური ისტორია, მისი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება, კულტურა და სხვ.

გ. მელიქიშვილი.

• • •

გ. მელიქიშვილის დასახელებული ნაშრომი მიძღვნილია სამხრეთ ამერკავკასიისა და მეზობელი ოლქების უძველესი ისტორიისადმი. გამოკვლევის ცენტრშია ურარტუს ისტორიის საკითხები. მაგრამ, ურარტუსადმი მიძღვნილი სხვა ნაშრომებისაგან განსხვავებით, გ. მელიქიშვილის ნაშრომში ურარტუს ისტორია განხილულია მცირე აზიის, ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და დასავლეთ ირანის უძველესი ისტორიის ფართო ფონზე. ნაშრომში გულდასმითი კვლევის საგნად არის ქცეული ისტორიული გეოგრაფიის, მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიისა და კულტურის საკითხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე მოღწეული მეტად მწირი მასალის გონებამახვილური ანალიზის შედეგად გ. მელიქიშვილმა პირველმა შეძლო წარმოედგინა ნაირი-ურარტუს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებისა და რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენათა მთლიანი სურათი.

ნაშრომში დეტალურად არის გამოკვლეული აგრეთვე ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში უძველეს ხანაში არსებული ორი დიდი გაერთიანების — დიაოხის (ტაოხი, ტაო) და კოლხას (ალტეთის) ისტორია.

ნაშრომის ამ ნაწილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის დღემდე ნაკლებად გაშუქებული, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლისათვის.

საისტორიო გამოკვლევა „ნაირი-ურარტუ“ ძირითადად დამყარებულია ლურსმული ეპიგრაფიკული მასალების შესწავლაზე (ხეთური, ასურულ-ბაბილონური და ურარტული ლურსმული წარწერები).

ურარტული ლურსმული წარწერები წარმოადგენენ ამერკავკასიის ხალხთა ისტორიის შესახებ არსებული ძველადმოსავლური წყაროების ყველაზე მნიშვნელოვან, მაგრამ ამავე დროს ყველაზე ძნელად ამოსაკითხავ ნაწილს. სწორედ მათი შესწავლისადმი მიძღვნილი გ. მელიქიშვილის ნაშრომის მეორე ნაწილი — „ურარტული ლურსმული წარწერები“, რომელიც გამოქვეყნდა 1953-54 წლების მანძილზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოს ჟურნალ „Вестник древней истории“-ის ფურცლებზე.

ნაშრომის ეს ნაწილი წარმოადგენს ურარტული ლურსმული წარწერების სრულ კრებულს — კორპუსს. ამგვარი კორპუსის გამოცემა 1928 წელს წამოიწყო გერმანელმა მეცნიერმა კ. ფ. ლემან-ჰაუპტმა, მაგრამ მას არ დასცალდა ეს კორპუსი ბოლომდე მიეყვანა. გამოვიდა მისი კორპუსის სულ ორი ნაკვეთი (1928 და 1935 წწ.), რომელიც 110 წარწერას შეიცავს. გარდა ამისა, ლემან-ჰაუპტის ეს ნაშრომი სათანადო მეცნიერულ სიმაღლეზე ვერ იდგა. გ. მელიქიშვილის ნაშრომში გამოქვეყნებულია დღეისათვის ცნობილი ყველა 400-მდე ურარტული ლურსმული წარწერა. ურარტული წარწერების წაკითხვასა და თარგმანში მან არსებითი ხასიათის ბევრი კორექტივი შეიტანა. მანვე აღადგინა ჩვენამდე მოღწეული ორი ურარტული მატიანეს ხასიათის ძეგლის — არგიშთი I-ის და სარდურ II-ის მატიანეების აღნაგობა და დაადგინა მათში მოთხრობილი ფაქტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

ნაშრომი შეიცავს აგრეთვე ურარტული ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკური შედგენილობისადმი მიძღვნილ გამოკვლევას.

ზემოხსენებული ნაშრომის გამოქვეყნებისთანავე მან მაღალი შეფასება მიიღო როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საბჭოთა კავშირის გარეთ. კერძოდ, საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობაში აღიარებულია, რომ გიორგი მელიქიშვილის ნაშრომი „ამერკავკასიის ხალხთა ძველადმოსავლური მასალები“ წარმოადგენს კაპიტალურ გამოკვლევას, რომელსაც ისტორიული მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და რომ იგი არის დიდი ნაბიჯი თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებაში. 1955 წელს ისტორიკოსთა X საერთაშორისო კონგრესზე ქ. რომში საბჭოთა ორიენტალისტიკის მნიშვნელოვან მიღწევათა შორის პროფ. გ. მელიქიშვილის ეს ნაშრომიც იყო დასახელებული.

ამჟ

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვა

ორგანიზებულად განვახორციელოთ მართვის ახალ ფორმებზე გადასვლა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში შედგა, განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოს მშრომელების აქტიურ მონაწილეობაზე „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვაში.

მოხსენების თეზისების ფართოდ გაჩაღებული განხილვა საბჭოთა დემოკრატიის უდიდესი ცხოველმყოფელი ძალის მკაფიო გამოვლინებაა. ხალხი, როგორც თავისი ქვეყნის ერთადერთი სრულუფლებიანი პატრონი, განიხილავს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საკითხს სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების მართვის ახალი ფორმების შესახებ. საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ მრეწველობისა და მშენებლობის ყველა რგოლში მართვის ორგანიზაციის გარდაქმნა სავსებით შეესაბამება სოციალისტური მეურნეობის განუხრელი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის ინტერესებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, მუდამ ზრუნავენ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის.

საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკაში, საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მძლავრი მრეწველობა და მექანიზებული სოფლის მეურნეობა, გამოიჭედა სახალხო ინტელიგენციის კადრები. ახლა საქართველოს აქვს მძიმე ინდუსტრიის თითქმის ყველა წამყვანი დარგი — ენერგეტიკული მეურნეობა, შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქვანახშირისა და ქიმიური მრეწველობა. მნიშვნელოვანი მიღწევებია აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების დარგში.

მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნა, რაც პარტიამ და მთავრობამ დასახეს, მიზნად ისახავს ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას, მის მიახლოებას წარმოების კონკრეტულ საჭიროებებთან, ჩვენი უდიდესი რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარებას. ეს ღონისძიებები აგრეთვე ხელს შეუწყობენ მართვის ახლანდელი ფორმების დროს არსებული ბევრი ნაკლის გამოსწორებას.

რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობის პრაქტიკიდან აღებული მრავალი მაგალითით მომხსენებელმა ცხადყო, თუ რაში მდგომარეობს ძირითადი ნაკლოვანებანი. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები სუსტად არიან ან სრულებით არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამ საწარმოთა დატვირთვა ხდება ვიწრო უწყებრივი ამოცანების თვალსაზრისით, რის შედეგადაც წარმოების სიმძლავრეები და რეზერვები გამოუყენებელი რჩება. საქმისადმი უწყებრივი მიდგომა ხელს უშლის წარმოების ფართო სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელებას, აძნელებს მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას, იწვევს ნედლეულის, მასალებისა და სხვა ტვირთების შემხვედრ გადაზიდვებს.

საწარმოთა მუშაობის საკითხების გადაჭრის დროს უწყებრივი მიდგომა ზოგჯერ კურიოზულ შემთხვევებს იწვევს. მაგალითად, შაქრის წარმოებისათვის საჭირო კირქვას აგარის შაქრის ქარხანაში ეზიდებიან ორჯონიკიძის რკინიგზის სადგურ პოდკუმოკიდან; ამავე დროს რესპუბლიკაში, კერძოდ, აგარის შაქრის ქარხნის რაიონში, საკმაო რაოდენობით არის კირქვის კარიერები. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა მუყაოს ეზიდება იმიერკარპატიდან; სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ქაღალდის ფაბრიკა, რომელიც იქვე გვერდით არის, მუყაოს გზავნის სვერდლოვსკში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. ეს იმიტომ ხდება, რომ მეზობელი ფაბრიკები სხვადასხვა სამინისტროებს ექვემდებარებიან.

მართვის სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ნაკლია მისი სირთულე და მრავალსაფეხურიანობა. საკავშირო სამინისტროები და უწყებები, რომლებიც დაშორებული არიან იმ ობიექტებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ, ქმნიან მრავალ პარალელურად მოქმედ ორგანიზაციას — გამსაღებელ და მომმარაგებელ კანტორებს, ბაზებსა და ა. შ.

სახალხო მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს სამშენებლო ორგანიზაციების ერთმანეთთან დაუკავშირებლობა. ამჟამად სამშენებლო სამუშაოებს რესპუბლიკაში 19 ტრესტი ახორციელებს. გარდა ამისა, არსებობს 18 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო. სამშენებლო ორგანიზაციათა სიმრავლე იწვევს სახსრების დაქსაქსვას და გაყინვას, ტექნიკის ცუდად გამოყენებას, სამშენებლო სამუშაოთა გაძვირებას.

პარტიის XX ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია უფრო გაბედულად მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკებს მეტი დამოუკიდებლობა მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. ცხოვრება ადასტურებს ამ კურსის სისწორეს. რესპუბლიკის გამგებლობაში გადმოცემულ საწარმოთა მუშაობა ბევრად გაუმჯობესდა. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ სტრუქტურის შემდგომი გამარტივება, ზედმეტი ცენტრალიზაციის ლიკვიდაცია და მრავალრიცხოვანი უწყებრივი ბარიერების მოსპობა მხოლოდ დადებითს გავლენას მოახდენს მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის მუშაობაზე.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში წამოყენებულია წინადადება დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით მართვის წინანდელი ორგანიზაციული ფორმებიდან გადავიდეთ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით მართვის ახალ ფორმებზე. სახალხო მეურნეობის საბჭოს მეშვეობით ეკონომიური რაიონების მართვა ამაღლებს რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების საბჭოთა, პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის. მართვის წამოყენებული ფორმის რეალური უპირატესობანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი საშუალებას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ ქვეყნის უმდიდრესი ბუნებრივი და მატერიალური რესურსები.

ჩვენს ქვეყანაში გაშლილი საყოველთაო-სახალხო განხილვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებისა მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის იმ ფორმას, რომელსაც პარტია და მთავრობა სახავენ. საქართველოში, ისევე როგორც ყველგან ჩვენს ქვეყანაში, მშრომელებმა წამოაყენეს ბევრი ძვირფასი წინადადება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

ხელმძღვანელობდნენ რა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებით, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სტრუქტურის სქემა. ახალი ორგანოების სტრუქტურის შემუშავების დროს მხედველობაში იყო მიღებული ის ძირითადი დებულება, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკა ერთიანი ეკონომიური რაიონია. რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ყველაზე უფრო მისაღებ ფორმად მიჩნეულ იქნა ტერიტორიული მართვის ერთიანი ორგანოს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნა.

მომხსენებელმა დაწვრილებით გაუკეთა ანალიზი საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სტრუქტურის წამოყენებულ სქემას. პრესაში გამოქვეყნების შემდეგ მან მშრომელთა მრავალი გამოხმაურება გამოიწვია, დიდი ინტერესით იქნა განხილული რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებებზე. ამასთან დაკავშირებით შემოსული ბევრი ძვირფასი წინადადება ყურადღებით განხილვის ღირსია.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმოდგენილი სტრუქტურის შესაბამისად უქმდება მთელი რიგი სამინისტროები. მრეწველობისა და მშენებლობისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის სახალხო მეურნეობის საბჭოს შემადგენლობაში იქმნება კოლეგია, ბიურო ან პრეზიდიუმი. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო გაერთიანებს 460 ძირითად სამრეწველო საწარმოს, რომელთა პერსონალის საერთო რიცხვი წარმოებასა და მშენებლობაში 200 ათას კაცზე მეტი იქნება. სახალხო მეურნეობის საბჭოში გაერთიანებულ სამრეწველო საწარმოთა საერთო პროდუქციის სრული მოცულობა შეადგენს დაახლოებით 11,5 მილიარდ მანეთს, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა იქნება 1 მილიარდ მანეთამდე. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში გადადის ბევრი საწარმო, რომლებსაც დღემდე საკავშირო სამინისტროები და მთავარი სამმართველოები მართავდნენ. ეს იწვევს ახალი სამმართველოების შექმნის აუცილებლობას.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის ახალი ფორმა მოითხოვს საგეგმო ორგანოების მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას. დიდად უნდა გაძლიერდეს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობა.

წარმოდგენილი სქემა მართვის საბოლოოდ დადგენილი ფორმა როდია. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვა, რაც გაჩაღებულია ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, მშრომელთა მრავალრიცხოვანი წინადადებები და შენიშვნები, ამ საკითხის განხილვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ყველაზე სრულყოფილი ფორმა.

— მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციული ფორმების გარდაქმნა, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — ადვილი საქმე როდია და, უეჭველია, პირველ ხანებში ერთგვარ სიძნელეებს წარმოშობს. ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, საწარმოებისა და მშენებლობების ხელმძღვანელებმა უნდა მოახდინონ მთელი ძალების მობილიზაცია, რათა ორგანიზებულად განახორციელონ დასახული ღონისძიებანი, არ დაუშვან შეფერხება მრეწველობისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში. უეჭველია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ღირსეულად გაართმევენ თავს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციის დიდ ამოცანებს.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოსული ყველა ამხანაგი ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვა მიმდინარეობს მშრომელთა დიდი აქტივობის, მათი ბზარდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში. საბჭოთა საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად იჩენენ უდიდეს პატრიოტულ დაინტერესებას იმით, რომ გამომუშავებულ იქნას მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ყველაზე სწორი და ქმედითი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის უმდიდრესი რეზერვების უკეთ გამოყენებას. ამას მოწმობს მრავალი ძვირფასი წინადადება, რომლებიც შემოტანილ იქნა მუშათა კრებებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირებზე, პარტიული კომიტეტების პლენუმებზე.

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. გეგეშიძემ** ილაპარაკა რესპუბლიკის დედაქალაქში მშრომელთა და პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების შესახებ, რომლებმაც მხურვალედ მოიწონეს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები. თბილისის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის წინადადებანი მიზნად ისახავენ დაეხმარონ პარტიასა და მთავრობას მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ყველაზე ეფექტიანი, მოქნილი ფორმების დადგენაში. ამხ. გეგეშიძემ პლენუმს მოახსენა იმ წინადადებათა შესახებ, რომლებიც ყველაზე ძვირფასი და ყურადსაღებია.

უწყებრივი ბარიერები და შეუთანხმებელი მუშაობა აფერხებს თბილისის მრეწველობის განვითარებას. ძირითად და სერიოზულ ნაკლოვანებებს წარმოადგენს მთელი რიგი საწარმოების დაუტვირთაობა, მოწყობილობის მნიშვნელოვანი გაცდენა, ახალი ტექნიკის ნელი დანერგვა. ქალაქში მრავალი სამშენებლო ორგანიზაციის არსებობაც იწვევს ძალებისა და სახსრების დაქსაქსვას, აფერხებს მშენებლობის გაშლას, ზრდის მის ღირებულებას.

მხარს უჭერს რა საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის წარმოდგენილ სტრუქტურას, ამხ. გეგეშიძე სთხოვს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინონ თბილისის პარტიული ორგანიზაციისა და მშრომელების ცალკეული წინადადებანი. მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ საქართველოს დედაქალაქში შეიქმნას ერთიანი ძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია. თბილისს საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამგებლობაში აუცილებლად უნდა გადავიდეს ის საწარმოები, რომელთა პროდუქცია მთლიანად ქალაქში საღდება (ბაგალითად, პურის საცხობი საწარმოები). მუშათა კრებებზე ერთსულოვნად გამოითქვა სურვილი, რომ სარეწაო კოოპერაციის არტელები გადავიდეს ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში. პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე წამოყენებულ იქნა წინადადება, რომ მიზანშეწონილია სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთიან მმართველობაში გაერთიანებულ იქნას მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობა. სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე წინადადება იმის შესახებ, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამგებლობაში იყოს ქალაქის ყველა სახეობის ტრანსპორტი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ლაბახუა** ლაპარაკობს იმ ერთსულოვან მოწონებაზე, რომლითაც აფხაზეთის მშრომელები შეხვდნენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. სრული მხარდაჭერა ჰპოვა საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სტრუქტურის სქემამ, რომელიც შემუშავებულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების შესაბამისად. წინასწარი ცნობებით, აფხაზეთში მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კრებებზე მონაწილეობა მიიღო 20 ათასზე მეტმა კაცმა და კამათში გამოვიდა სულ მცირე 2.500 კაცი. აფხაზეთის ყველა ქალაქსა და რაიონში გაიმართა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის კრებები.

ამხ. ლაბახუა ლაპარაკობს აფხაზეთის მშრომელთა ძირითად წინადადებებზე. მაგალითად, ტყვარჩელში წამოაყენეს წინადადება გაუქმდეს საქართველოს ქვანახშირის კომბინატი, როგორც უწყებრივი ინსტანცია, შეიქმნას ქალაქში ერთიანი ძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია, გაერთიანებულ იქნან ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოები, ავტომეურნეობები და სხვა წვრილი ერთგვაროვანი ორგანიზაციები. ჩაის წარმოებასთან დაკავშირებული მუშაკები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ საქართველოს ჩაის ტრესტი გადატანილ იქნას დასავლეთ საქართველოში, თავისი საწარმოების ახლოს. წამოყენებულია წინადადება ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნას ერთიანი სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც დაექვემდებარება აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს. რკინიგზელებმა გამოთქვეს აზრი, რომ მიზანშეწონილია შეიქმნას ამიერკავკასიის რკინიგზის შავი ზღვის განყოფილება. მოითხოვენ გაერთიანებულ იქნას ხე-ტყის დამამზადებელი ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთა რაოდენობა 33-ს აღწევს.

ამხ. ლაბახუა ლაპარაკობს აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის იმ სამმართველოს სტრუქტურაზე, რომლის შექმნაც ნავარაუდევია. იგი აყენებს საკითხს, რომ ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში გადაცემულ იქნას საწარმოთა მეტი რაოდენობა.

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ამხ. **ნ. გომელაურმა** მოიყვანა ბევრი მაგალითი უწყებრივი შეუთანხმებლობისა, რომელიც აფერხებს ლითონის გამოდნობის გადიდებას. მას საჭიროდ მიაჩნია გადაიჭრას რუსთავში ახალი ბრმედის და საკოქსე ღუმელის მშენებლობის საკითხი, შეიქმნას რესპუბლიკაში მძლავრი მომარაგებელი ორგანიზაცია. რუსთავის მეტალურგები, ამბობს შემდეგ ამხ. გომელაური, იწონებენ რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სტრუქტურის წარმოდგენილ სქემას, მაგრამ ამასთან ერთად ფიქრობენ, რომ შეიძლება ამ სქემის გაძლიერება. მაგალითად, დიდია იმ ტრესტებისა და კომბინატების რიცხვი, რომლებიც უშუალოდ სახალხო მეურნეობის საბჭოს დაექვემდებარებიან. აუცილებელია განხორციელდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ცალკეული ტრესტებისა და სამმართველოების გაძლიერება.

— ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვის მსვლელობაში, — ამბობს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ე. ტაკიძე,** — ქალაქის მშრომელებმა წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებები, რომელთა მიზანია მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფა. ასეთია, კერძოდ, წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველოს ქვანახშირის კომბინატი გადატანილ იქნას რესპუბლიკის დასავლეთ რაიონში, მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების ახლოს. შემოვიდა აგრეთვე ყურადღების ღირსი წინადადება, რომ ქუთაისში ლიტოპონის ქარხნის ბაზაზე შეიქმნას ქიმკომბინატი, რომელიც გააერთიანებს ქიმიური ნედლეულის მომპოვებელ და გადამამუშავებელ მთელ რიგ საწარმოებს და „ზაკგეოხიმრაზვედკის“ კანტორას. ასეთი კომბინატი უშუალოდ დაექვემდებარებოდა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს.

ამხ. ტაკიძე შემდეგ ლაპარაკობს ადგილობრივი საბჭოების უფლებათა გაფართოების აუცილებლობაზე. იგი აღნიშნავს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სტრუქტურის შეცვლა პირველ ხანებში ბევრ სიძნელეს გამოიწვევს. საჭიროა ეს წინასწარ გავითვალისწინოთ, ღრმად და ყოველმხრივ მოვამზადოთ მუშაობის გარდაქმნა ისე, რომ კი არ შევასუსტოთ, არამედ დღითიდღე ვზარდოთ საწარმოო გეგმების შესრულების ტემპები.

საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ლ. უკლება** ლაპარაკობს იმ დიდ შესაძლებლობებზე, რომლებიც ისახება საქართველოს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის წინაშე მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით. აღნიშნავს რა, რომ მართვის სტრუქტურის დასახული სქემა უპასუხებს მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნის ამოცანას, ამასთან ერთად ბათუმის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სურვილის შესაბამისად მას შემოაქვს მთელი რიგი წინადადებები და შენიშვნები. ასეთია, მაგალითად, წინადადება სახალხო მეურნეობის საბჭოს ცალკეული ტრესტების გამსხვილების შესახებ. კერძოდ, წინადადებაა განხორციელდეს სამტრესტისა და შამპანჯომბინატის გაერთიანება. ამას წინათ ჩატარებულმა საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა, განიხილა რა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები, მიიღო გადაწყვეტილება განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებანი ქალაქში მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტს და საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ნაცვლად საქალაქო სამრეწველო კომბინატისა შეიქმნას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო და მის გამგებლობაში გადაცემულ იქნას ადგილობრივი მრეწველობის ყველა საწარმო, რომლებიც ქალაქშია. შემოტანილია აგრეთვე წინადადება ჭოხდეს წვრილი სამშენებლო ორგანიზაციების ლიკვიდაცია და მათი გაერთიანების ბაზაზე ბათუმში შეიქმნას ერთიანი მსხვილი სამშენებლო ორგანიზაცია. ასეთივეა წინადადება, რომელიც ითვალისწინებს ქალაქის წვრილ ავტომეურნეობათა გაერთიანებას.

ამხ. უკლება აყენებს აგრეთვე საკითხს, რომ მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭოს ქარხნებსა და ფაბრიკებს და გაფართოვდეს მათი ხელმძღვანელების უფლებები. ბათუმში გამართულ კრებებსა და თათბირებზე გამოითქვა სურვილი, რომ დირექტორებს უფლება მიენიჭოთ დაამტკიცონ და შეცვალონ ქარხნის საამქროთა და განყოფილებათა უფროსები და შტატები, გაუდიდონ ან შეუმცირონ მუშაკებს განაკვეთები საწარმოსათვის დაწესებული ხელფასის ფონდის ფარგლებში, აგრეთვე შესაძლებლობა მიეცეთ გამოიყენონ ზემოგების სახსრების ნაწილი მუშა-მოსამსახურეთა **საბინაო-საყოფაცხოვრებო** პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

თავის გამოსვლაში თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ელექტროძრავების დამზვედა ამხ. **ა. ლომიძემ** ილაპარაკა საწარმოს კოლექტივის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე. ქარხნის რიტმულ მუშაობას ხელს უშლის მყარი გეგმის უქონლობა. სსრ კავშირის გზათა სამინისტროდან მიღებული 1957 წლის გეგმა საწარმოს საპროექტო სიმძლავრეს არ შეესაბამება. არსებული ტექნიკა გამოყენებულია სულ ბევრი 40 პროცენტით.

— სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, — თქვა ამხ. ლომიძემ, — რომ ჩვენი ქარხანა სპეციალურად მუშაობდეს ახალი ელმავლების გამოშვებაზე, რომლებიც ესოდენ საჭიროა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ ტექნიკა, მინიმუმამდე შევამციროთ მუშებისა და მოწყობილობის მოცდენა შესაკეთებელი ობიექტების უქონლობის მიზეზით. ქარხნის კოლექტივმა არაერთხელ დააყენა ეს საკითხი ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მრეწველობის მართვის ახალი სტრუქტურა, საქართველოს ეკონომიური რაიონის შექმნა, უწყებრივი ბარიერების ლიკვიდაცია შესაძლებელს გახდის საწარმოს მრავალრიცხოვანი კოლექტივის მოთხოვნების განხორციელებას.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრს ამხ. **ზ. კეცხოველს** მოჰყავს ციფრები, რომლებიც ახასიათებენ რესპუბლიკის კვების ინდუსტრიის ზრდას. მას მიაჩნია, რომ ხელმძღვანელობის გარდაქმნა ხელს შეუწყობს საქართველოს სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის შემდგომ განვითარებას. ამასთან ამხ. კეცხოველი აღნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ კვების მრეწველობის ცალკეული უბნების მექანიკური გაერთიანების თავიდან ასაცილებლად, მხედველობაში მიღებულ იქნას მათი მუშაობის სპეციფიკა. ამიტომ საჭირო არ არის ყველა ორგანიზაციული საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდების შემდგომი სრულყოფის გზით შეძლებს გაერკვეს ცალკეული ტრესტების, სამმართველოებისა და სხვ. გაშსხვილებისა თუ დაწვრილერთეულების ყველაზე მისაღები ფორმები. ამხ. კეცხოველი წინადადებას იძლევა აგარის შაქრის ქარხანა ტრესტ „საქშაქონდიტრისაგან“ გადაეცეს საქონსერვტრესტის გამგებლობაში, შეიქმნას ეთეროვანი ზეთების წარმოების სპეციალიზებული კომბინატი, დატოვებულ იქნას შამპანური ღვინოების კომბინატი და სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაცია საქსურსათმშენმონტაჟი. მას აგრეთვე მიზანშეწონილად მიაჩნია დარჩეს სამტრესტის გამგებლობაში მისი მსხვილი საწარმოები, რომლებიც მოსკოვში, ლენინგრადში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშია. რაც შესაძლებელს გახდის დაცულ იქნას ქართული ღვინოების მარკა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **რ. აგლაძემ** აღნიშნა, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის წარმოდგენილი სტრუქტურა დიდ გასაქანს იძლევა საქართველოს ეკონომიურ რაიონში საწარმო ძალების შემდგომი განვითარებისათვის. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს რესპუბლიკის უმდიდრესი ენერგეტიკული რესურსების უკეთ გამოყენებას, ქიმიური მრეწველობის შემდგომ აღმავლობას. ამხ. აგლაძე გამოთქვამს აზრს იმის სასარგებლოდ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში შეიქმნას ქიმიური მრეწველობის სამმართველო. მასში გაერთიანებულ უნდა იქნას რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა სამინისტროების გამგებლობაშია. ორატორი პირობას აძლევს პლენუმს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შემდგომ საქართველოს მეცნიერები მთლიანად გამოიყენებენ ხელსაყრელ პირობებს თავიანთი მუშაობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრი ამხ. **ს. ლორთქიფანიძე** აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სტრუქტურის წარმოდგენილ სქემაში წარმატებით წყდება სამშენებლო ორგანიზაციების გაერთიანების ამოცანა. მშენებლობის მთავარი სამმართველო, ამხ. ლორთქიფანიძის აზრით, უნდა დაექვემდებაროს არა მინისტრთა საბჭოს, არამედ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს. იგი მიზანშეწონილად თვლის, რომ დასავლეთ საქართველოში გვქონდეს ერთი საერთო-სამშენებლო ტრესტი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ორი ტრესტი, რომელთაგან წამყვანი უნდა იყოს საციალიზებული სამრეწველო-სამშენებლო ტრესტი. მან წამოაყენა აგრეთვე წინადადება — მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან შეიქმნას დამხმარე საწარმოთა სპეციალიზებული ტრესტი და გადაცემულ იქნას საკოლმეურნეო მშენებლობის სამმართველო ან სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ან, როგორც დამოუკიდებელი სამმართველო, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფა და ვიწრო უწყებრივი ბარიერების აღმოფხვრა ახალ ხელსაყრელ პირობებს შექმნის პროფკავშირთა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

— პროფკავშირების ამჟამად არსებული სტრუქტურა, — თქვა პლენუმზე გამოსულმა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **მ. ლელაშვილმა,** — ოდნავაც არ იქნება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი ფორმის შესაბამისი. მომწიფდა პროფკავშირების ორგანიზაციული სტრუქტურის ძირეული გარდაქმნის აუცილებლობა. ნაცვლად დარგობრივი სტრუქტურისა საჭირო პროფკავშირები აიგოს ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნის მიხედვით, დაახლოებით შემდეგი სქემით: საკავშირო პროფსაბჭო— ეკონომიური რაიონის პროფკავშირთა საბჭო — პროფკავშირის რაიონული ან საქალაქო კომიტეტი — პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია.

ამხ. ლელაშვილს მიაჩნია, რომ პროფკავშირების ასეთი წყობა შესაძლებელს გახდის ზედმეტი რგოლების — პროფკავშირთა რესპუბლიკური დარგობრივი კომიტეტების ლიკვიდაციას, ხელმძღვანელობის მიახლოებას ძირეულ კოლექტივებთან.

შემდეგ ამხ. ლელაშვილი ლაპარაკობს იმაზე, რომ პროფკავშირული აქტივის კრებებზე, საკავშირთაშორისო პროფკავშირულ კონფერენციებზე არაერთხელ დასმულა საკითხი, რომ საჭიროა აღდგენილ იქნას რესპუბლიკური პროფკავშირული ყოველდღიური გაზეთის გამოცემა. პროფკავშირული გაზეთის გამოშვების მიზანშეწონილობას გვიკარნახებს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების გაზრდილი ამოცანები. ეს ორგანიზაციები თავიანთ შემადგენლობაში აერთიანებენ ასეულ ათასობით მუშა-მოსამსახურეს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **გ. ქადაგიძე** თავის გამოსვლაში შეჩერდა საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სწორი სტრუქტურის შემუშავების საკითხებზე, შემოსული მრავალი წინადადებისა და ვარიანტის გათვალისწინებით. მაგალითად, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ფრიად დასაბუთებული წინადადება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შეიქმნას სასურსათო საქონლის მრეწველობის სამმართველო. წამოყენებულ სქემაში დამატებით უნდა დამუშავდეს სამთამადნო საწარმოთა ხელმძღვანელობის ორგანიზაციის საკითხიც.

ყველაზე რთულია მშენებლობის ხელმძღვანელობის ორგანიზაციის საკითხი. სამშენებლო

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვა

ორგანიზებულად განვახორციელოთ მართვის ახალ ფორმებზე გადასვლა

(დასასრული)

ა ამ საქმეში და გამონახავს საკითხის
წორ გადაწყვეტას.

დასასრულ ამხ. ქადაგიძე ლაპარა-
ობს იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც
ესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზა-
ამ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების
ეზისების განხილვასთან დაკავშირე-
ით გასწია. საქართველოს კომუნის-
ური პარტია შეძლებს სათავეში ჩა-
დგეს მშრომელი მასების შემოქმედე-
ითს აქტივობას და წარმართოს იგი
ბალ წარმატებათა მოსაპოვებლად საბ-
ოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
XX ყრილობის ისტორიულ გადა-
წყვეტილებათა განხორციელების საქ-
ელში.

შრომითს აღმავლობაზე, რითაც სამ-
ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის
შრომელები შეხვდნენ პარტიისა და
თავრობის ღონისძიებებს, რომლებიც
მართულია მრეწველობისა და მშე-
ებლობის მართვის ორგანიზაციის შე-
დგომი სრულყოფისაკენ, ილაპარაკა
თავის გამოსვლაში პარტიის სამხრეთ
ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა
ხმ. **გ. სანაკოევმა.** იგი წინადადებას
ძლევა შეიქმნას მშრომელთა დეპუტა-
ების საოლქო საბჭოსთან მრეწველო-
ბისა და მშენებლობის საამართველო,
რომელიც განახორციელებს ყველა სამ-
რეწველო საწარმოთა და მშენებლობა-
ა მუშაობის კოორდინაციას და იმუ-
ავებს სამხრეთ ოსეთის მრეწველობის
ომპლექსური განვითარების საკით-
ებზე. ასეთი სამმართველო, რომელიც
ეაქვემდებარება საოლქო აღმასკომსა
ა საქართველოს სახალხო მეურნეო-
ბის საბჭოს, ხელს შეუწყობს ოლქში
რეწველობის კიდევ უფრო განვითა-
ებასა და აღმავლობას და მშენებლო-
ბის გაუმჯობესებას.

— მეურნეობის მართვის გარდაქმ-
ასთან დაკავშირებით, — ამბობს შემ-
დეგ ამხ. სანაკოევი, — უნდა გადავ-
ყვიტოთ უმაღლესი და საშუალო ტექ-
იკური სასწავლებლებისა და სამეცნი-
ერო-საკვლევი დაწესებულებების გან-
ლაგების საკითხებიც.

სამხრეთ ოსეთში არც ერთი ტექნი-
ური სასწავლებელი არ არის. ამხ. სა-
ანაკოევი წინადადებას იძლევა მთელი
რიგი ტექნიკური სასწავლებლები და
სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებე-
ი გადატანილ იქნას ქალაქ თბილისი-
ან რესპუბლიკის ქალაქებში, მათ შო-
ის სამხრეთ ოსეთშიც. აქ საჭიროა
ვქონდეს ერთი ტექნიკური სასწავლე-
ელი, რომელიც მოამზადებს საშუალო
ტექნიკურ კადრებს მრეწველობისათ-
ის.

ამხ. სანაკოევმა გააკეთა აგრეთვე
თელი რიგი შენიშვნები რესპუბლი-
კის მრეწველობისა და მშენებლობის
მართვის სტრუქტურის სქემისათვის.

საქართველოს სსრ ხორცისა და
ძის პროდუქტების მრეწველობის მი-
ისტრმა ამხ. **გ. ჯიმარჯიძემ** აღნიშნა
რესპუბლიკის მრეწველობისა და მშე-
ებლობის მართვის ახალი სტრუქტუ-
ის შესახებ საქართველოს კპ ცენტრა-
ლური კომიტეტისა და საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებათა
დიდი მნიშვნელობა. მას მიზანშეწონი-
ად მიაჩნია გაერთიანდეს ერთგვაროვა-
ნი ტრესტები — საქხორცტრესტი და
საქცხოველდამზადების ტრესტი, რაც
საძლიერებს სამრეწველო საწარმოთა
პასუხისმგებლობას ხორცის პროდუქ-
ების დამზადებისა და წარმოების
გეგმების შესრულებისათვის. ამხ. ჯი-
მარჯიძე აყენებს მეორე ვარიანტსაც—
საქართველოს სახალხო მეურნეობის
საბჭოსთან შეიქმნას ხორცისა და ძის
მრეწველობის სამმართველო, ამასთან
მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საჭირო
�არ იქნება სახალხო მეურნეობის საბ-
ჭოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებუ-
ლი სამი დამოუკიდებელი ტრესტის არ-
სებობა. შემდეგ იგი წინადადებას
იძლევა განხორციელდეს ხორცისა და
ძის მრეწველობის წვრილ საწარმოთა
გამსხვილება და გაერთიანება იმ ანგა-
რიშით, რომ საწარმოებს მიემაგროს
ედელეულის დამზადების გარკვეული
ონენი. ამხ. ჯიმარჯიძემ აზრი გამო-
თქვა პურსაცხობი საწარმოების ადგი-
ლობრივი საბჭოებისათვის გადაცემის
ინააღმდეგ და მხარი დაუჭირა წინა-
დადებას სამტრესტისა და შამპანკომ-
ინატის გაერთიანების შესახებ.

საქართველოს ქვანახშირის კომბინა-
ტის უფროსი ამხ. **ა. ვარდიშვილი** ლა-
პარაკობს იმაზე, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშ-
ჩოვის მოხსენების თეზისების განხილ-
ვის მსვლელობაში შახტებში გამოვლი-
ნებულ იქნა წარმოების დიდი რეზერ-
ვები. მეშახტეებმა ერთსულოვნად მო-
ეწონეს პარტიისა და მთავრობის ღო-
ონისძიებანი მრეწველობისა და მშენებ-
ლობის მართვის ორგანიზაციული ფორ-
მების შემდგომი სრულყოფის დარგში.
ამხ. ვარდიშვილს საჭიროდ მიაჩნია სა-
ქართველოს ქვანახშირის კომბინატის
ამგებლობაში გადაცემულ იქნას ქვა-
ახშირის საძიებო და შახტების დამ-
პროექტებელი ორგანიზაციები, რაც
ესაძლებლობას მოგვცემს უფრო მი-
ანდასახულად ვაწარმოოთ ბრძოლა
რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველო-
ბის შემდგომი განვითარებისათვის. სა-
ქართველოში სახალხო მეურნეობის
საბჭოს შექმნით სწრაფად უნდა გადა-
ყვდეს ახალი შახტების მშენებლობის
საერთოდ გაშლის საკითხები, რომლებ-
საც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა
ქვს რესპუბლიკაში სათბობის მყარი
ბალანსის შექმნისათვის.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს
კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი
მდივანი ამხ. **ვ. პ. მეჟავანაძე.**

— ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების
თეზისების განხილვა, — ხაზგასმით აღ-
ნიშნა ამხ. მჟავანაძემ, — თვალნათლივ
მოწმობს იმას, თუ რაოდენ მიზანშე-
წონილი და დროულია მრეწველობისა
და მშენებლობის ხელმძღვანელობის
შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა
განხორციელება.

პარტია და მთავრობა ამ ხელმძღვა-
ნელობის გარდაქმნას სახავენ იმისათ-
ვის, რომ კიდევ უფრო მეტი გასაქანი
მისცენ საწარმოო ძალების განვითარე-
ბას, უფრო სრულად გამოიყენონ უდი-
დესი რეზერვები, რომლებიც ჩვენი
სახალხო მეურნეობის წიაღშია, რომ
კიდევ უფრო ფართოდ განვავითაროთ
მშრომელი მასების შემოქმედებითი
ინიციატივა და აქტივობა.

საბჭოთა საქართველოს მშრომელე-
ბი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა
ადამიანი, აღფრთოვანებით გამოეხმა-
ურნენ კომუნისტური პარტიის მოწო-
დებას — ფართოდ განვიხილოთ მრეწ-
ველობისა და მშენებლობის ხელმძღ-
ვანელობის გაუმჯობესების ღონის-
ძიებანი. ერთსულოვნად იწონებენ რა
დასახულ ღონისძიებებს, მათ შემოი-
ტანეს ბევრი ძვირფასი წინადადება.
მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი სა-
კითხები წამოიჭრა საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ
პლენუმზეც. ყოველივე ეს ავალებს
საქართველოს კპ ცენტრალურ კომი-
ტეტს და საქართველოს სსრ მინისტრ-
თა საბჭოს კვლავ და კვლავ გაითვა-
ლისწინონ ყველა შემოსული წინადა-
დება და საუკეთესოდ დაამუშაონ სა-
კითხი რესპუბლიკის მრეწველობისა
და მშენებლობის ხელმძღვანელობის
ყველაზე სწორი სტრუქტურის შექ-
მნის შესახებ.

ყოველი ახალი საქმე მოითხოვს ყუ-
რადღებით შესწავლას, ძვირფასი მასა-
ლების შეკრებას პრაქტიკაში მათი გა-
მოყენებისათვის. მხოლოდ იმ პირო-
ბით, თუ ყურადღებით მივუდგებით
შემოსული წინადადებებისა და მასა-
ლების შესწავლას, შევძლებთ ავირ-
ჩიოთ რესპუბლიკაში მრეწველობისა
და მშენებლობის ხელმძღვანელობის
სტრუქტურის საუკეთესო ვარიანტი.

ამხ. მჟავანაძე მხარს უჭერს თბი-
ლისში ერთიანი სამშენებლო ორგანი-
ზაციის შექმნას და ამბობს, რომ ეს
საშუალებას მოგვცემს შევქმნათ უფ-
რო მძლავრი ტექნიკური ბაზა, უზრუნ-
ველყოთ იგი კვალიფიციური ხელ-
მძღვანელობით. ასეთ პირობებში ქალა-
ქის ორგანიზაციები შეძლებდნენ მეტი
დახმარება გაეწიათ მშენებლობისათ-
ვის. თბილისის მშენებლობის მთავარი
სამმართველო თბილისის საქალაქო
საბჭოს აღმასკომს უნდა დაექვემდე-
ბაროს.

ამხ. მჟავანაძე ცალკე ჩერდება მო-
კავშირე რესპუბლიკების უფლებათა
გაფართოების საკითხებზე. იგი ლაპა-
რაკობს იმაზე, რომ საჭიროა ამაღლ-
დეს ადგილებზე დაგეგმვის დარგში
მუშაობის დონე და ამასთან ერთად
გაფრთხილებას იძლევა კუთხური გან-
წყობილების გამოვლინებათა წინააღ-
მდეგ. წარმოების დაგეგმვის, ორგანი-
ზაციისა და მისი მართვის დროს ისინი
უნდა გამოდიოდნენ მხოლოდ და მხო-
ლოდ საერთო-სახელმწიფოებრივი ინ-
ტერესებიდან.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზა-
ცია მოვალეა უფრო მტკიცედ ცდი-
ლობდეს მიაღწიოს ნაკლოვანებათა
ლიკვიდაციას სამეურნეო, საბჭოთა,
პროფკავშირული, კომკავშირული ორ-
განიზაციების მუშაობაში. საჭიროა
ყოველდღიურად ვაუმჯობესებდეთ
იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას მშრო-
მელთა შორის, ვზრდიდეთ მათ ხალხ-
თა ლენინური მეგობრობის, დიდი
ლენინის საქმისადმი უსაზღვრო ერთ-
გულების სულისკვეთებით. საჭიროა
გავაძლიეროთ ყველა კომუნისტის აქ-
ტივობა, ავამაღლოთ მათი წრთობა,
ყოველდღიურად განვამტკიცოთ კავში-
რი მასებთან.

ეხება რა პლენუმის მუშაობის
მსვლელობაში შემოსულ ცალკეულ
კონკრეტულ წინადადებებს, ამხ. მჟა-
ვანაძე ლაპარაკობს რესპუბლიკაში
მრეწველობისა და მშენებლობის ხელ-
მძღვანელობის შემდგომი გაუმჯობე-
სების ძირითადი გზების შესახებ. და-
სასრულ იგი ლაპარაკობს რესპუბლი-
კის მშრომელთა დიდ შემოქმედებითს
აქტივობაზე, რომლის ნიშნითაც
გრძელდება ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხ-
სენების თეზისების განხილვა.

სათავეში ჩაუდგება რა მასების ამ
მზარდ აქტივობას, რესპუბლიკის პარ-
ტიული ორგანიზაცია ყველაფერს გაა-
კეთებს იმისათვის, რომ წარმატებით
განახორციელოს მრეწველობისა და
მშენებლობის მართვის ორგანიზაციის
შემდგომი სრულყოფისათვის კომუ-
ნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავ-
რობის მიერ დასახული ღონისძიებანი.

* * *

განხილულ საკითხზე საქართველოს
კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმ-
მა მიიღო დადგენილება, რომელშიც
ერთსულოვნად იწონებს ამხ. ნ. ს.
ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

პლენუმმა ძირითადად მოიწონა რეს-
პუბლიკის მრეწველობისა და მშენებ-
ლობის მართვის სტრუქტურა, რომე-
ლიც შემუშავებულია საქართველოს
კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა
და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს მიერ. პლენუმმა საქართველოს
კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს
დაავალა შეიმუშაოს, შემოსული მრა-
ვალი წინადადების გათვალისწინებით,
საქართველოს სსრ მრეწველობისა და
მშენებლობის მართვის სტრუქტურის
საბოლოო სქემა.

მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაობები

★ ★ ★

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

★

დათესილია 173.287 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები

აპრილის მეოთხე ხუთდღიურში დათესა 53.392 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. სულ 20 აპრილისათვის დათესილი იყო 173.287 ჰექტარი. გეგმა შესრულებულია 39,4 პროცენტით, გასული წლის ამავე პერიოდისათვის დავალების შესრულება უდრიდა 21,4 პროცენტს. ხორბალი დათესილია 16.798 ჰექტარი, ბოსტნეული — 3.864 ჰექტარი — გეგმის 34,6 პროცენტი, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები — 11.153 ჰექტარი, რაც დავალების 29,2 პროცენტს შეადგენს, საკვები ძირხვენები და საკვები ბაღჩეული კულტურები — 5.201 ჰექტარი, ანუ გეგმა შესრულებულია 52,7 პროცენტით.

სიმინდი

20 აპრილისათვის რესპუბლიკაში სიმინდი სამარცვლედ დათესილი იყო 74.239 ჰექტარი — გეგმის 31,3 პროცენტი. მარშან ამავე პერიოდისათვის დავალების შესრულება შეადგენდა 16,8 პროცენტს. კვადრატულ-ბუდობრივად დათესილია 15.664 ჰექტარი.

მთელმა რიგმა რაიონებმა სიმინდის თესვის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. მაგალითად, წითელწყაროს რაიონში გეგმა შესრულებულია 111,5 პროცენტით, ბოლნისის — 115,2, სიღნაღის — 106,1, გარეუბნის — 102,8, გარდაბნის — 110,6, მცხეთის რაიონში კი 100 პროცენტით.

კარტოფილი

რესპუბლიკაში გეგმით გათვალისწინებული 16.336 ჰექტარიდან 20 აპრილისათვის დათესილი იყო 6.396 ჰექტარი კარტოფილი. ახალციხის რაიონში გეგმა შესრულებულია 89,3 პროცენტით, ადიგენის — 69,4, ასპინძის — 46,9, წალკის — 24,3, ბორჯომის — 25,3, თეთრი წყაროს — 65,1, ახალქალაქის — 5,3, დმანისის — 78,2, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 14,5, აჭარის ასსრ-ში — 2,2 პროცენტით.

თესვის საუკეთესო ვადებს ხელიდან

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა ვალდებულებაა მიმდინარე წელს ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 50 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 43 ცენტნერისა, 12 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 10 ცენტნერისა.

რაიონის კოლმეურნეობებს მუშაობის განსაკუთრებული პირობები აქვთ, მათ მომსახურებას არ უწევს არც ერთი მტს-ი, თუმცა მეზობელი რაიონების მექანიზატორებს საშუალება აქვთ ცალკეულ შემთხვევებში დაეხმარონ ორჯონიკიძელებს. ზემოაღნიშნული მდგომარეობა მოითხოვს კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან გადამწყვეტ უბნებზე სწორად გაანაწილონ ძალები და უნარიანად გამოიყენონ მუშახელი, მუშა-პირუტყვი.

კოლმეურნეობათა უმრავლესობამ კარგად გაითვალისწინა ეს და ყოველმხრივ მომზადებული შეუდგა საგაზაფხულო სამუშაოებს, შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. სოფელ ბორითის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ქ. გორგაძე, პარტბიუროს მდივანი ბ. ბარბაქაძე) მინდვრად თავის დროზე გაზიდეს 250 ტონა ნაკელი, 22 ტონა ფოსფორიანი სასუქი, 4 ტონა კალიუმის მარილი. კარგად უვლიან ვენახებს, რათა წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 70 ცენტნერზე მეტი ყურძენი. სიმინდის თესვაზე ყოველდღიურად 50 უდელი ხარი მუშაობს და დღიური დავალება წარმატებით სრულდება. კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ გეგმით გათვალისწინებულ 200 ჰექტარ ფართობზე სიმინდის თესვა პირველი მაისისათვის დაამთავრონ. უკანასკნელად კოლმეურნეობაში განმტკიცდა

„კომუნისტის“ რეიდი

შრომის დისციპლინა. საკოლმეურნეო ბრიგადებს სათავეში კომუნისტები უდგანან, 6 კომუნისტი მერგოლურია, ხოლო დანარჩენები — კომკავშირელები.

სერიოზული ყურადღება ექცევა მინდვრად მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. აგიტატორები მ. ბრეგვაძე, თ. კელენჯერიძე, ე. გელაშვილი, ა. გაჩეჩილაძე და სხვები სისტემატურად ესაუბრებიან კოლმეურნეებს საინტერესო საკითხებზე და რაზმავენ მათ ვალდებულებათა განაღდებისათვის საბრძოლველად.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობათა ერთმა ნაწილმა სერიოზული მუშაობა გასწია საგაზაფხულო სამუშაოების მოკლე დროში დამთავრებისათვის, მთლიანად რაიონში ეს საქმე საგრძნობლად ჩამორჩება. 20 აპრილისათვის თესვის გეგმა მხოლოდ 21,6 პროცენტით იყო შესრულებული.

ვერტყვიჭალისა და ბორითის კოლმეურნეობები მეზობლად მდებარეობენ, მუშაობის ერთნაირი პირობებიც აქვთ, მაგრამ შედეგი სულ სხვადასხვაა.

— ნიადაგი გამაგრებულია, თესვა ძალიან გვიჭირს, — უდარდელად აცხადებს ვერტყვიჭალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ბლიაძე და თანაც კანტორის ეზოში სხივსაცავი სათვალით დადის. 15 აპრილისათვის აქ მხოლოდ 3 ჰექტარი სიმინდი ჰქონდათ დათესილი.

თავმჯდომარე კმაყოფილებით აცხადებს, ვენახებში ცუდად არა გვაქვს საქმეო, მაგრამ კმაყოფილებისათვის არაფერი საფუძველი არ არის. კოლმეურნეობის 28,68 ჰექტარი ვენახიდან 10 ჰექტარზე ნიადაგი დაუმუშავებელია, საკმაო რაოდენობით არ გაუზიდავთ ორგანული და მინერალური სასუქები, არ იცავენ სამუშაოთა ხარისხს.

რით უნდა იხსნას ასეთი ჩამორჩენა? პასუხი ერთია, კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა, კოლმეურნეთა ერთი ნაწილი თვითნებურად წავიდა გარესამუშაოზე, ხოლო ზარმაცთა მიმართ გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია ზომებს არ იღებენ. 11 აპრილს 201 კოლმეურნიდან შრომაში მონაწილეობდა მხოლოდ 50, მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს მინდვრად მუშაობისათვის საუკეთესო ამინდი იყო. კიდევ მეტი. მომდინარე წლის განვლილ პერიოდში თვითეულ კოლმეურნეს საშუალოდ 12 შრომადღე აქვს გამომუშავებული.

უფრო ცუდი მდგომარეობაა ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებში. მაგალითად, მესამე ბრიგადის (ხელმძღვანელი გ. ლომიძე) პირველ რგოლში, რომელსაც ბ. ლურსმანაშვილი ხელმძღვანელობს, 1 აპრილიდან 5 აპრილამდე 15 კოლმეურნიდან მხოლოდ ექვსმა მიიღო მონაწილეობა შრომაში, მეორე რგოლში — 8 კოლმეურნემ.

თესვის საუკეთესო ვადებს ხელიდან უშვებენ და დამშვიდებულნი არიან, არ უფიქრდებიან, თუ რა ცუდი შედეგი მოჰყვება ასეთ გულგრილობას.

ერთი შეხედვით სოფელ ზვარის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ალხაზიშვილი) საგაზაფხულო სამუშაოები თითქოს ცუდად არ მიმდინარეობს. 16,28 ჰექტარი ვენახიდან დამუშავებულია 13,7 ჰექტარი, 260 ჰექტარიდან სიმინდი დათესილია 45 ჰექტარი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, მუშაობის ტემპი ჯერ-ჯერობით დაბალია.

ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზის ნათელ სურათს იძლევა შემდეგი ფაქტი: მეექვსე ბრიგადაში 5 აპრილიდან 10 აპრილამდე შრომაში მონაწილეობა მიიღო 16 კოლმეურნემ. თვითეულმა მათგანმა მთელ ხუთდღიურში გამოიმუშავა საშუალოდ 1,6 შრომადღე, ესე იგი დღიურად 0,32 შრომადღე. განა ასეთი მუშაობით კოლმეურნეობის საქმეები წინ წავა?

სოფელ ნებოძირის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. ლაცაბიძე) წევრმა კარლო ლაცაბიძემ 5 აპრილს დათესა 998 მეტრი, 6 აპრილს — 264 მეტრი, 7 აპრილს — 552 მეტრი ფართობი. ეს იმ დროს, როდესაც იგი ამ დღეებში მუშაობდა ერთსა და იმავე ნაკვეთზე, ერთი და იმავე ხარებით. ამავე კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის პირველ რგოლში ვხვდებით მუშა-პირუტყვის მოცდენას, რის შედეგადაც თესვის დღიური დავალება სანახევროდაც არ სრულდება. მაგალითად, პირველმა რგოლმა 5 აპრილს მოხნა 3.228 მეტრი, 6 აპრილს — 1.342 მეტრი, ხოლო 8 აპრილს — 4.104 მეტრი. აქედან ნათელია, რომ კოლმეურნეობაში გამოყენებული არ არის ყველა შესაძლებლობა თესვის აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის.

თეთრწყაროს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. შარიქაძე) რაიონის ცენტრთან ახლოს არის. ამ კოლმეურნეობას ყველა პირობა აქვს სახოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობისათვის, მაგრამ არაორგანიზებულობის და შრომის დაბალი ნაყოფიერების შედეგად, იმის შედეგად, რომ მინდვრის სამუშაოები დიდი დაგვიანებით სრულდება, მოსავალს ყოველწლიურად დაბალს იღებენ.

უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში კოლმეურნეობიდან გარესამუშაოზე გავიდა 40 შრომისუნარიანი კოლმეურნე, კოლმეურნის უფლებებით კი ისინი კვლავ სარგებლობენ, ფლობენ საკარმიდამო ნაკვეთებს. ილია გიორგიძის ოჯახში 4 შრომისუნარიანია, კოლმეურნეობაში კი არც ერთი მათგანი არ მუშაობს. ამ ოჯახის წევრი კომუნისტი ივანე გიორგიძე ძალდობით სავსე ახალგაზრდა ვაჟკაცია. საკოლმეურნეო შრომისათვის თავი რომ აარიდებინა, მან სასადილოს საკუჭნაოში დაიწყო მუშაობა. კომუნისტი ევტიხი ვეფხვაძე ბაზარში საბაჟო ქვითრების გამყიდველად მუშაობს და სხვ.

მართალია, პარტიის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები ხშირად დადიან კოლმეურნეობებში, ეცნობიან მათ მუშაობას, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა შესახებ მსჯელობენ ბიუროსა და აღმასკომის სხდომებზე, მაგრამ პრაქტიკული დახმარება კოლმეურნეობებისადმი ჯერ კიდევ სუსტია, მუშაობას გარდატეხა ნაკლებად ემჩნევა.

რაიონში თესვის ფრონტზე მდგომარეობა დამაფიქრებელია. ძვირფასია არათუ თვითეული დღე, არამედ ყოველი საათიც კი სამუშაოთა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე დასამთავრებლად.

რეიდის მონაწილეები:

გ. ტაბატაძე,
ორჯონიკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი,

ო. ნიქაბაძე,
გაზეთ „ლენინის დროშით“ რედაქციის მდივანი,

გ. ხუსკივაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თამბაქოს რგვა

დრანდა. (საკ. კორ.). **გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო თამბაქოს შერჩევითი რგვა.**

წელს კარგად მოემზადნენ სოფელ ესტონკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. წარმატებას ხელი შეუწყო კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით თამბაქოს საუკეთესო ჩითილის მოყვანისათვის ფულადი ჯილდოს დაწესებამ.

პირველმა ბრიგადამ, რომელსაც მ. ხალიფაჯიანი ხელმძღვანელობს, 15 აპრილს დაიწყო თამბაქოს რგვა. ამ დღეებში თამბაქოს რგვა მასობრივად გაჩაღდა.

ესტონკელ მეთამბაქოეთა ვალდებულებაა 66 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყონ 16 ცენტნერი თამბაქოს ნედლეულის მიღება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერისა.

თამბაქოს ჩითილის ამოღება დასარგავად სოფელ ესტონკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. წინა პლანზე (მარჯვნივ) კოლმეურნე მ. მხითარიანი.

ქართველ და აზერბაიჯანელ კოლმეურნეთა შეჯიბრება

მეგობრების შეხვედრა

საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ იაღდება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. ამას წინათ გურჯაანელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მომძე აზერბაიჯანის სსრ შემახის რაიონის მშრომელები.

გურჯაანელთა გამოწვევას შემახელები აღფრთოვანებით შეხვდნენ.

— მივესალმებით თქვენს კეთილ განზრახვას, მობრძანდით, მეგობრებო, გაეცანით ჩვენი რაიონის მშრომელთა საქმიანობას, გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, შევეჯიბროთ ერთმანეთს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის. ასეთი შინაარსის წერილი მიიღეს შემახიდან გურჯაანელებმა.

გურჯაანელთა დელეგაცია, რომელსაც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. შავგულიძე ხელმძღვანელობდა, ამ დღეებში შემახის რაიონს ეს ტუმრა.

ქალაქი შემახა, რომელიც ბაქოს 120 კილომეტრით არის დაშორებული, საზეიმოდ იყო მორთული. შემახელებმა ქართველ სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. სტუმრები თავდაპირველად მასწავლებელთა სახლის სხდომათა დარბაზში მიიწვიეს. აქ ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

აზერბაიჯანის კპ შემახის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. სამედოვმა თქვა:

— ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ძმური მეგობრობა თანდათან მტკიცდება, უფრო მაღლა ავწიოთ ხალხთა მეგობრობის დროშა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვაშენოთ კომუნიზმი, შეუნელებლად ვიბრძოლოთ მთელს მსოფლიოში მშვიდობისათვის!

სიტყვები წარმოთქვეს შემახის რაიონის ლენინის სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. ტაგიევმა, გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. შავგულიძემ, გურჯაანის მტს-ის მთავარმა აგრონომმა, სოციალისტური შრომის გმირმა მ. არჩევნიშვილმა და სხვ.

გურჯაანელები შემახის მტს-ის მუშაობას გაეცნენ. ეს მტს-ი აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და წარმატებით ასრულებს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმებს. ამ მტს-ის კომბაინერმა ვ. რიშკოვმა „ს-6“ მარკის კომბაინით შარშან ნაზონში 850 ჰექტარი ყანა მომკა, გეგმა კი 320 ჰექტარს ითვალისწინებდა. კომბაინერმა ვ. კაზაკოვმა მოსავლის აღების დავალება 220 პროცენტით შეასრულა. წარჩინებული კომბაინერები არიან აგრეთვე მისი ძმები ი. და ტ. კაზაკოვები. დელეგაციის წევრებმა გაიცანეს, რომ გამოიყენებენ წარჩინებულ კომბაინერთა მუშაობის გამოცდილებას.

მტს-ის დირექტორმა შ. გაჯიევმა თქვა:

— გურჯაანის მტს-მა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოგვიწვია. ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ და ვიკისრეთ სატრაქტორო სამუშაოთა გეგმების 120 პროცენტით შესრულება, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის შარშანდელთან შედარებით 15 პროცენტით გადიდება, საწვავის ათი პროცენტით დაზოგვა და სხვ.

შემახის მტს-ის მთავარმა ზოოტექნიკოსმა მ. მამედოვმა გურჯაანელებს გააცნო კოლმეურნეობების მიღწევები.

პარტიის რაიკომის მდივანმა გეოგლარის მტს-ის ზონაში მამედ მამედოვმა აღნიშნა, რომ გეოგლარელი კოლმეურნეები შრომადღეზე იღებენ 5-8 კილოგრამ მარცვლეულს, 5-15 მანეთ ფულს და სხვ.

ქალაქ შემახიდან ხელისგულივით მოჩანს ვრცელი ველი ადგილ-ადგილ გორაკებით. აქ წინათ ხორბალს თესავდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ წყალი არ არის და სიცხე იცის, ხშირად ნათესები იწვებოდა, მოსავალი მცირე იყო. აქ დელეგაციას მხურვალე შეხვედრა მოუწყო მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის „შირვანის“ ახალგაზრდა კოლექტივმა. მეურნეობაში 850 ჰექტარზე 15 სხვადასხვა ჯიშის ვაზია გაშენებული. მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე მეურნეობის დირექტორმა გ. გლინჯოვმა თქვა:

— ძვირფასო მეგობრებო, მე მინახავს თვალწარმტაცი საქართველო, მისი ვენახები, შევხვედრივარ გამოჩენილ მევენახეებს. მინდა კვლავ შევხვდე და ბევრი რამ სასარგებლო ვისწავლო მათგან. ოთხი წლის წინათ გაშენებული ვენახების თვითეულ ჰექტარზე შარშან 60 ცენტნერი ყურძენი მოვკრიფეთ, წელს ეს ცენტნერზე მეტს მოვიყვანთ. ჩვენ ვაზს ძლიერ ვტვირთავთ, ვუტოვებთ 4-5 რქას 40-50 სანაყოფე კვირტით. ეს კარგ შედეგს იძლევა.

სოფელ მადრასას კოლმეურნეობა „პრავდა“ რაიონში ყველაზე დიდია. მას 250 ჰექტარი ვენახი აქვს, 1960 წლისათვის 600 ჰექტარზე მეტი ექნება. ჰყავს რვაას სულზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი ოთხ მილიონ მანეთს აღემატება. გურჯაანის რაიონის მშრომელთა დელეგაციამ დაათვალიერა კოლმეურნეობის ვენახები, გაეცნო კოლმეურნეობის ეკონომიკას.

კოლმეურნეობას საკუთარი საშუალებით აუგია კულტურის დიდი სახლი. აქ მიტინგი გაიმართა. გურჯაანის რაიონის დელეგაციას მიესალმნენ პარტიის შემახის რაიკომის პირველი მდივანი გ. სამედოვი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. არუთინიანი და სხვები. საპასუხო სიტყვით გამოვიდა დელეგაციის წევრი ხ. ხოსროშვილი.

შემდეგ დელეგაციის წევრები ესტუმრნენ ლენინის სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას, მადრასას ღვინის ქარხანას, დაათვალიერეს შემახის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, იყვნენ ბაქოში.

დასასრულ გურჯაანელმა და შემახელმა მეგობრებმა გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1957 წელს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. გურჯაანის რაიონის დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ვ. შავგულიძემ სთხოვა შემახის რაიონის ხელმძღვანელებს, რომ რაიონის მშრომელთა დელეგაცია იწვიოს გურჯაანის რაიონს. შემახელებმა მიწვევა მიიღეს.

გურჯაანელთა და შემახელთა ძმური, საინტერესო შეხვედრები აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების დიადი მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო.

ს. ძოწილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.
ქ. შემახა, აზერბაიჯანის სსრ.

პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

22 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებაში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ბევრი საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტი.

პრეს-კონფერენციის დასაწყისში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ლ. თ. ილიჩოვმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

საბჭოთა მთავრობამ, როგორც ცნობილია, 1957 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს მიმართა წინადადებით შეემუშავებინათ და გამოეცხადებინათ ძირითადი პრინციპები ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების და ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საკითხზე.

საბჭოთა მთავრობის აზრით ერთობლივ დეკლარაციაში სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი განაცხადებდნენ, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ თავიანთ პოლიტიკას ისინი საფუძვლად დაუდებენ მისწრაფებას მშვიდობის შენარჩუნებისადმი და ყველა სადავო საკითხს გადაწყვეტენ მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით მოლაპარაკების მეთოდის საფუძველზე. საბჭოთა მთავრობამ დასავლეთის სამი სახელმწიფოს განსახილველად წარადგინა შემდეგი ძირითადი პრინციპები: არ ჩაერიონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში; პატიცემა სცენ ყველა მათ სუვერენულ უფლებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას, უარი თქვან სამხედრო ბლოკებში მათი ჩაბმისა და მათთვის იარაღის მიწოდების ცდებზე; მოახდინონ უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია და გაიყვანონ ამ ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგებული უცხოეთის ჯარები; უანგარო დახმარება გაუწიონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას, ამასთან არ წამოაყენონ რაიმე პირობები, რომლებიც შეუთავსებელია მათს ღირსებასთან და სუვერენიტეტთან.

შეიძლება მხოლოდ სინანული გამოითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, რომლებმაც დაიმოწმეს სრულიად უსაფუძვლო არგუმენტები, უარყოფითად მოეკიდნენ საბჭოთა კავშირის ახალ მშვიდობისმოყვარულ ნაბიჯს. როგორც ჩანს, თავიანთ ურთიერთობაში ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან აღნიშნული მთავრობები აპირებენ დაიცვან თავიანთი წინანდელი კურსი, რომელიც, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, სრულებით არ შეესაბამება არც ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ინტერესებს, არც მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

პირიქით, ეს კურსი არა მარტო იწვევს, არამედ უკვე გამოიწვია მდგომარეობის შემდგომი გამწვავება ახლო და შუა აღმოსავლეთში, შეშფოთება და შიში შეიტანა ამ რაიონის ხალხთა ცხოვრებაში. ბუნებრივია, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეების ასეთ პოლიტიკას გადაწრით გმობენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხები, რომლებიც არ აპირებენ შეურიგდნენ მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, მათი კანონიერი უფლებების ხელყოფას.

შემოხვევითი როდია, რომ დასავლეთის ქვეყნებიս ოფიციალური პროპაგანდა და პრესა ახლა მიმართავს სხვადასხვაგვარ ხრიკებს და ცდილობს საზოგადოებრივი აზრის თვალში გაამართლოს დასავლეთის სახელმწიფოთა დამარცხებული პოლიტიკა ახლო და შუა აღმოსავლეთში და როგორმე „დაასაბუთოს“ უარი საბჭოთა მთავრობის წინადადებათა მიღებაზე. პრესის ზოგიერთი ორგანო და ოფიციალური პირებიც კი ცდილობენ დამახინჯებულად დახატონ საბჭოთა მთავრობის პოზიცია „სუეცის კრიზისთან“ და ეგვიპტის წინაღმდეგ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით. მაგალითად, ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირი თავისი პოლიტიკით თითქოს რაღაც „განსაკუთრებულ მიზნებს“ ისახავს ახლო და შუა აღმოსავლეთში და ამ მიზნების მიღწევისათვის იყენებს წინაღმდეგობებს დასავლეთის სახელმწიფოებსა და არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის.

ყველა ეს მონაჭორი გამოყენებულია აშკარად წინასწარი განზრახვით იმ ვარაუდით, რომ, ერთი მხრივ, ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მეორე მხრივ, სცადონ მოაცილონ დასავლეთის სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა ეგვიპტის წინაღმდეგ აგრესიული მოქმედებისათვის და ამასთან ერთად უფრო მიმზიდველი სახით წარმოადგინონ ამ სახელმწიფოთა დამპყრობლური, იმპერიალისტური კურსი არაბულ აღმოსავლეთში.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ გამოუცხადებია თავისი თვალსაზრისი ახლო და შუა აღმოსავლეთის პრობლემის შესახებ. საბჭოთა კავშირი არ ისახავდა და არ ისახავს ამ რაიონში, ისევე როგორც სხვა რაიონებში, არავითარ მიზნებს, რომლებიც შეუთავსებელი იყოს ამ ქვეყნების ხალხთა ეროვნულ ინტერესებთან, არა აქვს და არც ცდილობს იქონიოს სამხედრო ბაზები, კონცესიები სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, მათ შორის ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც, არ ცდილობდა და არ ცდილობს მოიპოვოს რაიმე პრივილეგია, რადგან ყოველივე ეს ძირეულად ეწინააღმდეგება საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს.

საბჭოთა კავშირის ეს პოლიტიკა ნაკარნახევია იმით, რომ იგი გულწრფელად დაინტერესებულია ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების დამყარებით, ამ რაიონის ქვეყნების ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებით და ეკონომიური აყვავებით.

მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივ წრეებს უფრო ნათელი წარმოდგენა რომ ჰქონდეთ დიდ სახელმწიფოთა ნამდვილ დამოკიდებულებაზე ახლო და შუა აღმოსავლეთის პრობლემებისადმი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოაქვეყნოს შინაარსი საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებს შორის გამართული მიწერ-მოწერისა, რომელიც მოხდა ეგვიპტეზე ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის თავდასხმის წინ.

როგორც მიწერ-მოწერიდან ჩანს, საბჭოთა კავშირი არათუ არ აკეთებდა რაიმე ცდას ერთმანეთთან წაეკიდებინა რომელიმე ქვეყნები, არამედ მიმართავდა მტკიცე ღონისძიებებს. სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილებისათვის და სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ყველა სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით და ეგვიპტის სუვერენიტეტისა და ეროვნული უფლებების სრული პატივისცემით.

გამოქვეყნებული დოკუმენტები აგრეთვე მოწმობენ, რომ, მიუხედავად საბჭოთა კავშირის გაფრთხილებისა, ინგლისისა და საფრანგეთის გარკვეული წრეები, არცთუ ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ წაუქეზებლად, განაგრძობდნენ ეგვიპტისა და არაბთა სხვა ქვეყნების მიმართ თავიანთი ხაზის განხორციელებას და, ბოლოს, გააჩაღეს აგრესია, რომელიც გადაჭრით დაგმეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და ხალხებმა.

(ლ. თ. ილიჩოვმა განაცხადა, რომ ხსენებული დოკუმენტების ტექსტები გამოქვეყნდება „იზვესტიის“ 23 აპრილის ნომერში).

მოკლედ ილაპარაკა რა საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებს შორის მიწერ-მოწერის შინაარსზე, ამხ. ილიჩოვმა შემდეგ პასუხი გასცა ჟურნალისტთა მრავალ კითხვაზე, რომლებიც დაკავშირებულია დოკუმენტების გამოქვეყნებასთან. მან პასუხი გასცა აგრეთვე სხვა კითხვებზე, რომლებიც ეხება საერთაშორისო მდგომარეობას.

ჟურნალ „მეედუნაროდნაია ჟიზნის“ წარმომადგენელმა, კერძოდ, იკითხა: ხომ არ შეგიძლიათ კომენტარი გაუკეთოთ უცხოეთის გამოხმაურებას საბჭოთა წინადადებაზე ატომგულის იარაღის გამოცდის მუდმივი ან დროებითი შეწყვეტის შესახებ?

ილიჩოვმა უპასუხა: რამდენადაც შეიძლება ვიმსჯელოთ მიღებული ცნობების მიხედვით, საბჭოთა მთავრობის წინადადებას თანაგრძნობით შეხვდნენ მთელი რიგი ქვეყნების ფართო საზოგადოებრივი წრეები.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პრესის ზოგიერთმა ორგანომ, რომლებიც ახლო დგანან ოფიციალურ წრეებთან, უარყოფითი პოზიცია დაიკავეს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადების მიმართ. ლიტონი სიტყვებით ამტკიცებენ, თითქოს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონის დროს ვითომდა შეიძლება დაიმალოს ატომგულის აფეთქებათა ფაქტი და რომ ამის გამო ასეთი აფეთქებანი კონტროლს არ ექვემდებარებიან. ეს აშკარად მოგონილი მოსაზრებაა, და მას უარყოფენ, კერძოდ, თვლსაჩინო და აღიარებული მეცნიერული ავტორიტეტები.

მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ფიზიკოსი დ-რი რალფ ლეპი წიგნში „ატომები და ადამიანები“ აცხადებს: „დიდ მანძილზე აფეთქების აღმოჩენის ეს სისტემები სავსებით საიმედოა და მათ სავსებით შეიძლება დავეყრდნოთ ატომური აფეთქების აღმოჩენისას ედედამიწის ყოველ ადგილას“. დავიმოწმებ აგრეთვე „ამერიკის მეცნიერთა ფედერაციის“ განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ატომგულის იარაღის გამოცდა „შეიძლება აღმოჩენილ იქნას დიდ მანძილზე და, ამრიგად, შეიძლება შეიქმნას აღმოჩენის საიმედო სისტემა. ამიტომ ატომგულის აფეთქებათა აკრძალვას შეუძლია მოგვცეს აღმოჩენის მაქსიმალური გარანტია“.

ასეთივეა საბჭოთა მეცნიერების აზრიც.

როგორც ხედავთ, მეცნიერულ ავტორიტეტთა დასკვნა არავითარ ადგილს არ ტოვებს სხვა დასკვნებისათვის: კონტროლი ატომგულის ყოველგვარი გამოცდისადმი სავსებით შესაძლებელია.

ამრიგად, საქმე ის კი არ არის, რომ ტექნიკური შესაძლებლობანი არ იძლევიან საშუალებას აღვნუსხოთ ატომური აფეთქებანი საიმედო სიზუსტით. დასავლეთის სახელმწიფოთა გარკვეული წრეები, ხელმძღვანელობენ რა პოლიტიკური მოსაზრებებით და თავიანთი აგრესიული საგარეოპოლიტიკური კურსით, არ აპირებენ უარი თქვან შემდგომ გამალებულ შეიარაღებაზე. ამიტომ მთელი პასუხისმგებლობა მშვიდობის საქმისათვის ასეთი საშიში პოლიტიკის გამო ეკისრება მის სულისჩამდგმელებს, რადგან ისინი ჯიუტად უარყოფენ ყველა წინადადებას, რომელთა მიღება ხელს შეუწყობდა ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, როგორც უკვე არაერთხელ იყო გამოცხადებული, იგი მოითხოვს გამოიყოს განიარაღების საერთო პრობლემიდან ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი და დამოუკიდებლად გადაიჭრას იგი ახლავე, ისე, რომ შეთანხმება ამ საკითხზე არ დაუკავშირდეს შეთანხმება განიარაღების სხვა საკითხებზე. საბჭოთა მთავრობის წინადადების მიღება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის რადიკალური გადაჭრა იქნებოდა. როგორც იცით, საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ მზად არის, იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის სახელმწიფოები შესაძლებლად ვერ მიიჩნევენ მიიღონ წინადადება ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, დიდოს შეთანხმება ასეთი გამოცდის დროებით შეწყვეტის შესახებ.

სამწუხაროდ, არა ჩანს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები მზად არიან მიიღონ საბჭოთა მთავრობის ეს ახალი წინადადება.

შემდეგ გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ წარმომადგენელმა დიმოწმა ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ამასწინანდელი ცნობა, რომელშიც ამტკიცებდნენ, თითქოს ბ-ნ გერჰარდსენისადმი ნ. ა. ბულგანინის წერილის შემდეგ საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის საზღვრის გაყოლებით წარმოებს საბჭოთა ჯარების კონცენტრაცია. მან ჰკითხა: რა შეგიძლიათ თქვათ ამ მტკიცებათა გამო?

ილიჩოვმა უპასუხა: რა შეიძლება ითქვას ამ სულელური მტკიცების შესახებ? იგი იმის ღირსიც კი არ არის, რომ ვიხსენოთ, რომ არ იყოს სავსებით გარკვეული მიზანი, რომელსაც მისი ავტორები ისახავენ: დათესონ ეჭვის თესლი და ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

გაზეთ „ტრუდის“ კორესპონდენტმა ჰკითხა: თქვენი აზრით, რა გავლენა შეუძლია მოახდინოს გერმანიის პრობლემის განვითარებაზე შეთანხმების ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შესახებ, რომელსაც ამას წინათ ხელი მოაწერა რომში დასავლეთის ქვეყნების ჯგუფმა, მათ შორის გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ?

ამ კითხვაზე გაცემულ იქნა შემდეგი პასუხი: თუ ვილაპარაკებთ გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს, გაერთიანების პერსპექტივებზე, რითიც დაინტერესებულია როგორც გერმანელი ხალხი, ისე ყველა, ვისაც სურს მტკიცე მშვიდობა ევროპაში, მაშინ ამ მხრივ ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შექმნა, უეჭველია, ფრიად დამღუპველ როლს შეასრულებს. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამასწინანდელ განცხადებაში ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შექმნის შესახებ უკვე აღნიშნული იყო, რომ ამ გეგმების განხორციელება გამოიწვევს ახალ სერიოზულ დაბრკოლებათა შექმნას გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობის აღდგენის გზაზე, რადგან დასავლეთი გერმანია კიდევ უფრო ღრმად ჩაითრეული აღმოჩნდება დასავლეთის სახელმწიფოების კარდაზშულ სამხედრო დაჯგუფებათა სისტემაში, რომლებიც უპირისპირდებიან ევროპის სხვა სახელმწიფოებს.

მინდა კიდევ დავძინო, რომ ისეთი ქვეყნების პრესა, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, არც კი ცდილობს დაფაროს, რომ ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შექმნა კიდევ უფრო ღრმად მოაქცევს ჩიხში გერმანიის საკითხს. ამ აზრით საგულისხმოა ინგლისის ყოველკვირეულის „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშნის“ განცხადება იმის შესახებ, რომ „საერთო ბაზრისა“ და ევრატომის შექმნის გეგმების რეალიზაციის შემთხვევაში „პოლიტიკურად მთავარი მსხვერპლი გერმანია იქნება“.

შეიძლება ითქვას, ამას ვეღარაფერს დავუმატებ.

გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ წარმომადგენელმა მისცა კითხვა: დანიისა და შვეიცის ზოგიერთი გაზეთები ავრცელებენ ხმებს, თითქოს ძლიერდებოდეს საბჭოთა წყალქვეშა ნავების აქტივიზაცია ბალტიის სრუტეებში. რას იტყვით ამის შესახებ?

ილიჩოვმა უპასუხა: ეს ცნობები ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ამგვარი ცნობები წინათაც ქვეყნდებოდა, ამასთან მათ ყოველთვის უფარდებდნენ მორიგ პროპაგანდისტულ კამპანიას სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ამჟამად დანიის, ისევე როგორც სკანდინავიის სხვა ქვეყნების, საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით განიხილავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის ამასწინანდელ წერილებს ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ გერჰარდსენისადმი და დანიის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ჰანსენისადმი, დადებითად ეხმაურება წინადადებებს, რომლებსაც ეს წერილები შეიცავენ და რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება ჩრდილოეთ ევროპასა და ბალტიის ზღვის რაიონში.

ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ როგორც დანიაში, ისე სკანდინავიის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში არიან წრეები, რომლებიც მოითხოვენ საომარი მზადების გაძლიერებას ნატოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს წრეები ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრიობა.

როგორც ჩანს, ჰორი საბჭოთა წყალქვეშა ნავების მოჩვენებითი აქტივიზაციის შესახებ დასჭირდათ იმისათვის, რომ დანიის საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ საკითხებს, რომლებიც მას აღელვებს ნატოს პოლიტიკის სულისჩამდგმელთა გეგმებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, პრეს-კონფერენციაზე კითხვები მისცეს გაზეთ „იზვესტიის“ და „სოვეტსკი ფლოტის“, საბჭოთა რადიოს, ფრანს პრესის საგენტოს, რადიოკომპანია „კოლუმბია ბროდკასტინგ სისტემის“, „კორიერე დელა სერას“, „ნიუ-იორკ ტაიმსისა“ და სხვა გაზეთების კორესპონდენტებმა. (საკდესი).

უნგრელ მსახიობთა გასტროლები თბილისში

14 მარტიდან საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება უნგრეთის ეროვნული თეატრი და ბუდაპეშტის ვარიეტეს დიდი ჯგუფი მსახიობებისა, რომლებიც საბჭოთა მაყურებელს აცნობენ თავიანთ ხელოვნებას. ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში უნგრელმა მსახიობებმა მრავალი კონცერტი გამართეს რიგაში, ერევანსა და ბაკოში.

23 აპრილს დილით თბილისის რკინიგზის სადგურის ბაქანი ხალხით აივსო. აქ იყვნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, სახელმწიფო ფილარმონიის, თბილისის თეატრების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მატარებელი ბაქოთბილისი ნელა უახლოვდება სადგურის ბაქანს. მასპინძლები ცოცხალი ყვავილებით ხელში გულთბილად მიესალმებიან ჭვირფას სტუმრებს. ისინი მეგობრულად ართმევენ ხელს და ეხვევიან მოძმე უნგრელი ხალხის წარმოგზავნილებს. სადგურიდან სტუმრები ავტომანქანებით გაემართნენ ქალაქში. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს დედაქალაქის ქუჩები და ნაგებობანი.

გუშინ ხალამოსვე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში დაიწყო უნგრელი სტუმრების ხელოვნების დემონსტრირება. უნგრელმა მსახიობებმა თბილისელ მაყურებლებს უჩვენეს თავიანთი საინტერესო, ყანრობრივად მრავალფეროვანი პროგრამა — „ალო, ბუდაპეშტ!“.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მიხაი ტაბანიმ (აკორდეონი), უნგრეთის სახელმწიფო ოპერის სოლისტმა ედერარ ლაბოხმა (არიები რუსული, იტალიური, უნგრული ოპერებიდან და სიმღერები), ირმა კუტმა (ილუზიონისტი), ორმა ოჩაიმ (აკრობატული ცეკვები), ევა ვიდოშმა (ეროტიკული), ხამმა კერენშმა (მუსიკალური ექსცენტრიკოსები), გენა პუსტამ (ეროტიული სიმღერები), მაგდა ტიბანიმ და ედერარ ლაბოხმა (პაროდია თანამედროვე ამერიკულ ცეკვებზე), უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა იოზეფ შიმანდიმ (თოჯინები), ორმა ბოდომ (ცეკვები გროტესკულ-ეროტიკული), ეტა პუსტაიმ (ეროტიული სიმღერები), კვი